ჭეშმარიტად ალლაჰი დასჯის იმ ადამიანებს, ვინც სხვებს აწამებს და მათ ტანჯვას აყენებს

ჰიშამ იბნ ჰაქიმ იბნ ჰიზამი (ალლაჰი იყოს მისით კამყოფილი) გადიოდა შამში მცხოვრებ ნაბატეველთა ჯგუფთან, რომლებიც მზის ქვეშ იდგნენ. ჰიშამმა იკითხა: რა ხდება მათთან? მიუგეს: "ისინი (ჯიზიას), საგადასახადო ვალის გადაუხდელობის გამო დააკავეს", ჰიშამმა განაცხადა: ვმოწმობ, რომ ალლაჰის შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოვისმინე, რომ ის ამბობდა: «ჭეშმარიტად ალლაჰი დასჯის იმ ადამიანებს, ვინც სხვებს აწამებს და მათ ტანჯვას აყენებს».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ჰიშამ იბნ ჰაქიიმ იბნ ჰიზამმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) (სირიაში) გაიარა არა არაბთა გლეხებთან, რომლებიც მზის ქვეშ იდგნენ. ჰიშამმა იკითხა: რა ხდება მათთან? ამცნო, რომ მათთან ასე მოიქცნენ, რადგან მათ არ გადაიხადეს სავალდებულო გადასახადი, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესაძლებლობა ჰქონდათ. ჰიშამმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) განაცხადა: ვმოწმობ, რომ ალლაჰის შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოვისმინე, რომ ის ამბობდა: ჭეშმარიტად, ალლაჰი დასჯის მათ, ვინც ადამიანებს უსამართლოდ და უმიზეზოდ აწამებს და ტანჯვას აყენებს.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/8888